

სოფელ მცხეთიჯვარში ახალი გზის მშენებლობა მიმდინარეობს

22 თებერვალი 2018

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ მცხეთიჯვარში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა გზის 670 მეტრიანი მონაკვეთი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებსა და სოფელში გადაადგილება კომფორტული და უსაფრთხო გახდება. გზის მშენებლობის მიმდინარეობა მონახულეს შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილემ, სიმონ გულედანმა და რეგიონული პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსმა გიგა ბუგიანიშვილმა. გუბერნატორის მოადგილის, სიმონ გულედანის თქმით „ბეტონის გზით მცხეთიჯვარის გარდა სოფლების: წალვლის, წელვერის, ყობის, ჩორჩანის, კლდისწყაროს, ტიტვინისწყაროს, ზემო და ქვემო ბროლოსნის 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები ისარგებლებს. სოფლები ერთმანეთს და ადმინისტრაციულ ცენტრს კომფორტულად დაუკავშირდებიან. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება, 264 380 ლარს შეადგენს.